1/2 9ფჰ. 603/2 № 11745
საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 24
(11 583)

29 მარტი – 1 აპრილი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# SOS საქართველოში ყველაფერი იყიდება, 16–17 წლის სპორტსმენებიც კი...

## ● ინერგება ქართველ სპორტსმენთა მიტაცების ახალი მეთოდი – შვილად აყვანა ● ბერძენმა დარახლოვმა უკვე 6 ყველაზე პერსპექტიული ქართველი ძიუდოისტი იშვილა ჩვენი სასამართლოების დახმარებით

ეს ალმაშფოთებელი ფაქტი გუშინწინ გამჟღავნდა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოს სხდომაზე საქართველოში ძიუდოს განვითარების საკითხის განხილვისას. ვინმე დარახლოვი, რომელსაც ერთ დროს დმანისში უცხოვრია და საქართველოს ყოფილი მოქალაქეა, სამი წელიწადია თურმე სისტემატურად ჩამოდის საქართველოში და რაკი ნახა, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიძლება ყველაფერი მოიმოქმედო დემოკრატიის ნიღბით, ბოლო ხანებში, მშობლებთან ფარული გარიგებით, ქართველი ყმაწვილების გამამლუქება დაუწყია. ეს კაცი თურმე ყველაზე პერსპექტიულ და ტიტულოვან ძიუდოისტებს არჩევს ხელმძღვანელი სპორტული ორგანიზაციების, ფედერაციის, მწვრთნელების დაუკითხავად, მიჰყავს სასამართლოში მშობლები, რომლებიც უარს აცხადებენ საკუთარ შვილებზე და უცხოელზე აშვილებენ. ასე ჰკარგავს საქართველო თავის შვილებს, ქართული სპორტი კი თავის ხვალინდელ ლონეს, ერი – ჯანსაღ გენოფონდს. ბიჭები იცვლიან გვარ-სახელს, მოქალაქეობას, ეროვნებას. აი სადამდე მიჰყავს სოციალურ სიდუხჭირეს ადამიანები.

ფაქტი თავისთავად უაღრესად შემაშფოთებელია და აქვე არ შეიძლება არ ვთქვათ: ნუთუ ეს უცხოელი მოძალადე იურიდიულ საკითხებშიც გვჯობნის? ნუთუ ჩვენი მოსამართლეები უძლურნი არიან და არანაირი მექანიზმი არ არსებობს გადამთიელი აბრაგის მიერ ჩვენი შვილების მიტაცების მადის მოსათოკად? ხომ ფაქტია, რომ ამ კაცს შვილადაყვანილთა სიმრავლის ზრახვა კი არა, შემდეგ ჩვენი ყმაწვილების სხვაზე ან სპორტულ კლუბებზე გაყიდვის სურვილი ამოძრავებს.

თუ ამ მოვლენის ალსაკვეთი მექანიზმი სასწრაფოდ არ შემუშავდა, დაზარალებული არა მხოლოდ ქართული სპორტი აღმოჩნდება ადამიანებით ვაჭრობის გათანამედროვებული პროცესით.

ირაკლი მეძმარიაშვილი,
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე

# სულით რაინდი




გივი კარტოზია! თაობათა მეხსიერებაში არასოდეს წაიშლება ეს სახელი და რაც მეტი დრო გავა, უფრო თვალნათლივ წარმოჩნდება მისი ღვაწლი არა მხოლოდ კონკრეტულად ქართულ სპორტში და, უფრო კონკრეტულად ფალავანთა ამქარში, არამედ, საზოგადოდ, ქართულ ცნობიერებაში. 29 მარტს 73 წლისა გახდებოდა! რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ასე ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან. წავიდა და თან გაიყოლა დიდი სიყვარული, დიდი ტკივილებიც, რადგან ცხოვრების სიავეც საკმაოზე მეტი იწვნია. ოღონდ ეგაა, ამნაირი დიდბუნებოვანი პიროვნებები ცხოვრებისეულ უკეთურობას და მწარე ხვედრს ყველაზე უმნიშვნელო ნერვის შეტოკებამდე განიცდიან, ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებით.

გივი კარტოზია იყო თაობათა კერპი, ცხადია, ჩემი თაობისაც. ახალგაზრდებისთვის სათაყვანო მხოლოდ თავისი სპორტული მიღწევებით როდი გახდა.

დიდი ბედნიერებაა, როცა სახელოვან სპორტსმენში ადამიანური ღირსებები რაინდული სულითაა განსა-

იხ. მე-2 გვ.

# მილოცვები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს საქართველოდან პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს, სახელგანთქმულ ფალავანს, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სათაყვანო პიროვნებას **დავით ციმაკურიძეს**.

* * *

**ბატონ დავით ციმაკურიძეს**

ბატონო დავით!

მაქვს პატივი სპორტული საზოგადოებრიობისა და სპორტის გულშემატკივართა სახელით დიდი პატივისცემით მოგილოცოთ დაბადების დღე.

სასიხარულოა, რომ თქვენ ხალხს ახსოვხართ და უყვარხართ. თქვენ ბრძანდებით საქართველოში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი და, ყველას მოეხსენება, პირველი კვალი სირთულეებთანაა დაკავშირებული. თქვენ ეს სირთულეები ვაჟკაცურად გადალახეთ და მრავალ ახალგაზრდას გზა გაუკაფეთ დიდი სპორტისაკენ. თქვენ დღესაც მისაბაძი პიროვნება ბრძანდებით, რომელმაც საკუთარი ცხოვრებით დაგვანახვა, თუ როგორი უნდა იყოს სამშობლოს ერთგული და პატრიოტი.

გვახარებს, რომ თქვენ დღესაც ჩვეული ენერგიით აქტიურად დგახართ ქვეყანაში სპორტული მოძრაობის გვერდით, დიდი წვლილი შეგაქვთ მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

ბატონო დავით!

გისურვებთ ხანგრძლივ, ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს თქვენს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით

**ირაკლი მეძმარიაშვილი,**
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

# ქართული სპორტი შეშფოთებული თვალებით იმზირება

**სპორტის დეპარტამენტის საბჭოს სხდომიდან**

გვიჭირს, მაგრამ ვალდებულნი ვართ ვეძიოთ გამოსავალი. ფეხბურთის, ჭიდაობის, ჩოგბურთის და სპორტის ზამთრის სახეობების მსგავსად, ჩვენმა ეროვნულმა ფედერაციებმა აავად უნდა მოიძიონ სახსრები, გააფართოვონ საქმიანი კონტაქტები შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებთან ფინანსური დახმარების ჩათვლით, მოიზიდონ სპონსორები, ჩაატარონ შეჯიბრებები, მიზნადაა დასახული, რომ ათენში ოლიმპიურ თამაშებში უკეთ უნდა ვიასპარეზოთ, ვიდრე სიდნეიში. ამას კი დიდი ძალისხმევა დასჭირდება. შექმნილი არასახარბიელო ფინანსური გარემო მოითხოვს, რომ ბიუჯეტის მწირი სახსრებით დაფინანსდეს მხოლოდ სპორტის ის სახეობები და იმ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა, სადაც მაღალი სპორტული შედეგების მიღწევის რეალური შანსი გაგვაჩნია, მაგრამ რაშიაც ფულს გადავიხდით, საფასურსაც მოვითხოვთ — ძირითადად ასეთი იყო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გუშინწინ გამართული საბჭოს სხდომის ლაიტმოტივი.

ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის ადვილი არ არის რეალობას

იხ. მე-2 გვ.


ინგლისი — იტალია

# ამხანაგური მატჩები 5


საფრანგეთი — შოტლანდია

*საერთაშორისო ამხანაგური მატჩი*

# აფრიკა სულ გაშავდა

## ჩივაძე ფრიადოსანი და სულ მოგებული

*„ლოკომოტივის“ სტადიონი. თბილისი. 27 მარტი. 12 ათასი მაყურებელი.*

**საქართველო — სამხრეთ აფრიკა 4–1**

**(ეროვნული ნაკრებები)**

**საქართველო:** გვარამაძე (ჭანტურია 67), კობიაშვილი, შაშიაშვილი, რეხვიაშვილი, საჯაია (აბრამიძე 78), ბურდული (ქემოკლიძე 46), ამისულაშვილი, ჯამარაული, ქეცბაია (დარასელია 46), დემეტრაძე, იაშვილი (ალექსიძე 81).

**სამხრეთ აფრიკა:** ვონკი, ა. მოკოენა, მოლეფე, კარნელი (ლეკხეტო 46), ბუტი (ჯორდანი 46), სიბაია, ფორჩუნი (ბაკლი 46), მანიატელა, მნგუნი (მაზიბუკო 46), ტ. მოკოენა (ჰაულეზა 85), ნომვეტე.

*გოლები:* 1-0 კობიაშვილი (14 პ), 2-0 დემეტრაძე (32), 1-2 ბაკლი (66), 3-1 ალექსიძე (83), 4-1 დემეტრაძე (85).

*გააფრთხილეს:* ა. მოკოენა, მანიატელა, დემეტრაძე, რეხვიაშვილი.

*გააძევეს:* მოლეფე, მანიატელა.

*მსაჯები:* ა. შანდორი, ს. სობატიუკი, ა. ზვერევი (ყველა – უკრაინა), ს. კვარაცხელია (საქართველო).

*ინსპექტორი:* ა. მილჩენკო (საქართველო).



მეხუთე მატჩი და რვა თვეა, ეროვნული გუნდი დაუმარცხებელია. ჩივაძის შეგირდები ფრიადზე თამაშობენ, აბა, სხვანაირად როგორ უნდა შევაფასოთ ის, რასაც ნაკრებმა აგვისტოს ლუქსემბურგული ლაშქრობის შემდეგ მიაღწია. გუშინწინ კიდევ ერთხელ გავიხარეთ. მიუხედავად გარკვეული სიფრთხილისა, ვაკეში მოსულ გულშემატკივართა უმრავლესობას, ალბათ ნამდვილად სჯეროდა, რომ მასპინძლები თავაწეულნი დატოვებდნენ მინდორს. მოლოდინი გამართლდა. სტუმრებს მატჩის გადარჩენის შანსი, თითქმის, არც ჰქონიათ. ლამის ექსპერიმენტული შემადგენლობა დაუპირისპირა მსოფლიო ჩემპიონატზე მიმავალ მეტოქეს ჩივაძემ. თექვსმეტივე ფეხბურთელი გამოვიდა მინდორზე,

იხ. მე-4 გვ.

# ნბა



ტორონტო – მაიამი

სტეფანია (№50)

6

**დღეს ქართულ ჭადრაკის ახალი ხელმძღვანელები უნდა აირჩიონ** 6

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 4 თვე დარჩა

torino 2006

## ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 10 თვე გვაშორებს

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

# ქართული სპორტი შეშფოთებული თვალებით იმზირება

*(პირველი გვერდიდან)*

გაუსწოროს თვალი, მაგრამ, როცა სხვა გამოსავალი არ არის, პირდაპირ თქმას და „ღია თამაშს" ამჯობინებს. სპორტისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ბოლო თეთრამდეა გაწერილი და პირველი შემთხვევაა, როცა მისი ხარჯვის მიმართულებები საჯაროდ გახდა ცნობილი. ძნელია ილაპარაკო ქართული სპორტის კეთილდღეობაზე, როცა შარშან, კალენდრით გათვალისწინებული 600 სპორტული ღონისძიებიდან ჩატარდა მხოლოდ — 132 (?!). ცხადია, უსახსრობაა მთავარი მიზეზი.

ერთხელ კიდევ ითქვა, რომ იმდენი ცნობილი სპორტსმენი და სპორტთან ახლოს მდგომი იმდენი დეპუტატი არასდროს ყოფილა საქართველოს პარლამენტში, რამდენიც ამჟამადაა, მაგრამ, თითქოს პირი შეკრესო, ისინი არ იბრძვიან ქართული სპორტის ტრადიციების გადასარჩენად. სპორტი ვერ გახდა ქვეყნის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. გამოუყენებელი რჩება ქართველ სპორტსმენთა უდიდესი პოტენციალი. შინ დაუფასებლობის გამო, ბევრ ცნობილ ათლეტს და სპეციალისტს უცხოეთში გადაბარგება რჩებათ ერთადერთ იმედად. შეუძლებელია არ დააფინანსო სპორტის ესა თუ ის სახეობა და მოსთხოვო მაღალი შედეგები. იგივე ითქმის სპორტის ზამთრის სახეობებზე. ახლახან დამთავრებულ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი სპორტსმენების წარმატებას არავინ მოელოდა, მაგრამ ის, რომ მონაწილეობა მივიღეთ და არ მოვწყდით მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობას, თავისთავად დადებითი მოვლენაა. საბჭოს სხდომაზე ამ საკითხის განხილვისას ითქვა, რომ არსებობს ორი გზა: ერთი — ან სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ზამთრის სპორტის სახეობების განვითარებას ჩვენში, ბუნებრივი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით, ან მეორე — ზამთრის ოლიმპიადის წინ, ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის ჩვენი მეზობლების მსგავსად, ვიყიდოთ სპორტსმენები და გამოვიყვანოთ თამაშებში ჩვენი ეროვნული დროშით ხელში. მეორე გზა კატეგორიულად მიუღებელია და ამას ვერასდროს შეურიგდება ჩვენი ხალხი. წარმატებად ჩაითვალა თამაშებში ფიგურულ სრიალში ვახტანგ მურვანიძის გამოსვლა, რომელმაც ნაცვლად დაგეგმილი 24-ე ადგილისა მე-17 ადგილი დაიკავა. საბჭოს ამ სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ძიუდოსა და ტანვარჯიშის სახეობათა განვითარების საკითხები. დაამტკიცეს 2002 წლისათვის საბჭოს სხდომებზე განსახილველი თემების ნუსხა.

საბჭოს სხდომამ რუსეთის ფედერაციაში საქართველოდან სპორტულ საკითხებში წარმომადგენლად დაამტკიცა ზაზა კაკაბაძე. თეთრი წყაროს სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ — ზაზა მამულაძე.

# სულით რაინდი

*(პირველი გვერდიდან)*

ხიერებულ-გასხივოსნებული, ყველაფერი ის, რაც ძეხორციელში იდეალად გვესახება. გივი კარტოზია ამ თვალსაზრისით, ჭეშმარიტი ზნეობრივი გმირი იყო სრულიად საქართველოსთვის. არაფერს ვაჭარბებ. ამ კაცის ვაჟკაცობაზე ლეგენდები დადიოდა და ასე დარჩა სამუდამოდ, დარჩა ლეგენდარულ პიროვნებად.

დღესაც ბევრ ათლეტში, განსაკუთრებით ჭიდაობის სამყაროდან, ვხედავ ბატონ გივის კაცობის ანარეკლს. თუნდაც ის რად ღირს, რომ ახლა თუ ასეთი შეკრული და მონოლითურია ეს სამყარო, ამაში თავისი ცხოვრების წესით, ლომის წილი დაიდო გივი კარტოზიამ, ჭეშმარიტად გამორჩეულმა რაინდმა.

ჩემს ყმაწვილობაში, თანატოლებს, განსაკუთრებით სპორტში, უფროსი თაობის სპორტსმენებზე მონათხრობი ისეთ მუხტს გვაძლევდა, რომელიც საკუთარი თავის შეცნობაში გვეხმარებოდა. საილუსტრაციოდ თუნდაც ერთ ფაქტს გავიხსენებ: წარმოიდგინეთ, რა გრძნობა დაგვეუფლებოდა, როცა შევიტყვეთ, რომ 15 წლის გივი კარტოზია ომში გაიპარა მამის სანახავად.

შეუძლებელია გივი კარტოზიაზე ილაპარაკო მხოლოდ როგორც სპორტსმენზე. ბედმა ასე ინება და სპორტი იქცა მისი მაღალი ზნეობისა და შინაგანი სამყაროს რეალიზაციის ასპარეზად, თორემ მისნაირები ნებისმიერ სფეროში წარმოჩინდებიან გამორჩეულად, რადგან სულსა და გონში ზის ის მარცვალი, რომელიც აუცილებლად გაღვივდება და ადამიანს ღირსეულ პიროვნებად მოუვლენს საზოგადოებრიობას. ქართული სპორტი ბედნიერია, რომ განგებამ ჩვენ გადმოგვილოცა მისი ნიჭი.

ჩემთვის ძნელიც იყო, ამავე დროს ადვილიც და უდიდესი პატივიც, ბატონ გივის დაბადების დღის აღსანიშნავად გამომეთქვა პირადი დამოკიდებულება. ძნელიო, რომ ვამბობ, მოკრძალების გრძნობა მბოჭავდა, ადვილი კი იმიტომ, რომ ღირსეულ კაცზე სათქმელი წნეხად არ გაწევს, პატივი — თავისთავად!

ქართულ სპორტს დიდებით მოსილი ბევრი ათლეტი ჰყოლია. გივი კარტოზია მათ შორის უპირველესია და არა მხოლოდ ჭიდაობაში. ქართული სპორტის ისტორიაში ის იყო, საერთოდ, პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი, ქართველ მოჭიდავეთაგან კი პირველმა სამგზის მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, მსოფლიო თასიც პირველს ხვდა წილად, პირველი დადგა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ქართველთა შორის. ჩატარებული ორთაბრძოლებიდან მოგება-წაგების შეფარდება კრივში უფრო მიღებული, მაგრამ გივი კარტოზიასთან დაკავშირებით, აქაც უნიკალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე — თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თავისი სპორტული კარიერის მანძილზე გივი კარტოზიას 96 პაექრობა აქვს ჩატარებული, მოგება — 94!

მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის მხრიდან გივი კარტოზიას ღვაწლის დაფასებად ვთვლი, რომ თბილისის სპორტის სასახლეს მიენიჭა მისი სახელი. ახლა, ჩვენს ფედერაციასთან ერთად ვმუშაობთ, რათა ისევ აღსდგეს გივი კარტოზიას სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი და ეს ასპარეზობა კვლავ შევიდეს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ შესაძლებლობა მომეცა ჩემი შეხედულება გამეზიარებინა მკითხველისათვის ამ ბუმბერაზ სპორტსმენზე, მაგრამ უწინარესად როგორც ლეგენდარულ პიროვნებაზე, ამას ხაზგასმით ვამბობ, ის მართლაც ტიტანი იყო ქართულ სპორტში.


მზია ორველაშვილი — გოგიტა გონგაძე


დათო კულუმბეგაშვილი — ია კვირიკაშვილი

### სპორტული ცეკვები. საქართველოს ღია ჩემპიონატი

ეს ასპარეზობა გასულ პარასკევს, შაბათ და კვირას გაიმართა თბილისში, მუშთაიდის ბაღში მდებარე „თელას" საცეკვაო დარბაზში. **კვარცხლბეკი.** ***ახალგაზრდები — -st/lt:*** 1. ზურაბ კიკაბიძე — თინიკო გუგავა, 2. ირაკლი საბაძე — თიკო დავითაია (ორივე წყვილი — თელა), 3. გურამ მეფარიშვილი — თიკო ქათამაძე (ქუთ); ***Iv-2-st/lt:*** 1. რატი გაჩეჩილაძე — ქეთი ალავერდაშვილი (თელა), 2. ოთარ ფოლადაშვილი — ქეთი ცხადაძე (ელეგ), 3. ოთარ თორაძე — ქეთი ბერიტაშვილი (თელა); ***Jn-1-lt:*** 1. გიორგი მეგრელიშვილი — ნინო კოროხაშვილი (ელეგ), 2. ნიკოლოზ ნიკონოვი — ეკა ჩარკვიანი (ქუთ), 3. გიორგი მირიანაშვილი — ნატალი მჟავია (თელა). ***5 ცეკვა — დიდები st/lt:*** 1. გიორგი ჯიჯიკოშვილი — ანა მელქაძე (ელეგ), 2. ბესიკ რთველიაშვილი — თამთა სიმონიშვილი, 3. თენგიზ გელაშვილი — ვერიკო ბაინდურაშვილი (ორივე წყვილი — თელა); ***5 ცეკვა. პატარები. (7-10 წ.) st/lt:*** 1. გიორგი ტყეშელაშვილი — თათია ქუთათელაძე, 2. გიორგი კრიჭაშვილი — ანა კრავეიშვილი, 3. მარიამ ქობლიაშვილი — სალომე ხატიაშვილი (სამივე წყვილი — თელა); ***5 ცეკვა. მოზარდები (10-13 წ.) st-lt:*** 1. ირაკლი ჯანგულაშვილი — ანა კალმახელიძე, 2. ალეკო მთვარელიშვილი — თინიკო მეტრეველი (ორივე წყვილი — თელა), 3. გიგა კოღუაშვილი — ქრისტინე გვალია (ქუთ); ***Iv-1-st/lt:*** 1. ოთარ ფოლადაშვილი — ქეთი ცხადაძე (ელეგ), 2. ირაკლი გოლოძე — სანია გამიდოვა, 3. ლაშა ჯინჭარაძე — ქეთი კობახიძე (ორივე წყვილი — თელა). ***პერსპექტივა:*** 1. ლაშა ჯინჭარაძე — ნინო ჰანიშვილი, 2. ბერდია მზარეულიშვილი — ანა სუხოვეი, 3. გიორგი მაკარაშვილი — ნინო ფეიქრიშვილი (სამივე წყვილი — თელა); ***Jn-2-st:*** 1. გოგიტა გონგაძე — მზია ორველაშვილი, 2. პაატა ჩუტკერაშვილი — ლაურა ქველაძე (ორივე წყვილი — ელეგ), 3. ნოდარ შონია — რუსუდან შონია (თელა); ***ახალგაზრდები +უფროსები st:*** 1. დათო კულუმბეგაშვილი — ია კვირიკაშვილი, 2. ზურაბ კიკაბიძე — თინიკო გუგავა, 3. ირაკლი საბაძე — თინიკო დავითაია (სამივე — თელა).

**ნინო ქავთარაძე**


რატი გაჩეჩილაძე — ქეთი ალავერდაშვილი


ოთარ თორაძე — ქეთი ბერიტაშვილი

# ველოსპორტის ფედერაციამ გახსნა სეზონი



კახეთის გზატკეცილზე ჩატარდა ველოშეჯიბრებები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. მონაწილეობდნენ ქ. თბილისის მერიასთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა სკოლის სპორტსმენები, ქ. ქუთაისის, აჭარის, ლაგოდეხისა და შპს „კოკა-კოლას" ველოსიპედისტები, რომლებმაც არაერთი საპრიზო ადგილი დაიკავეს.

15 კმ დაყოფილი სტარტით ჭაბუკებში გაიმარჯვა თბილისელმა გიორგი ნადირაძემ — 25.35 წ. მეორე იყო ასევე თბილისელი სერგო მურჯიკნელი — 25,57, მესამე — თენგიზ ძიძიგური (აჭარა) — 26,12. მოზრდილებში ადგილები ასე განაწილდა: 1. გიორგი მალლაფერიძე (ქუთ) — 27,57, 2. გურამ ინაკავიძე (თბ) — 27,58, 3. თენგიზ თავბერიძე (აჭ) — 28,14; ***წყვილთა რბოლა 25 კმ:*** 1. თენგიზ ძიძიგური, ვაჟა ვაშაყმაძე (აჭ) — 38,09, გია ნადირაძე, სლავა მურჯიკნელი — 38,37, 3. არჩილ მახარაშვილი, ამირან ლებანიძე (ორივე წყვილი — თბ) — 38,59. ***60 კმ. ჯგუფურ რბოლაში. ჭაბუკები:*** 1. თბილისი, 2. აჭარა.

# მძლეოსნობის კორიფეთა ხსოვნას მიუძღვნეს

როგორც „ლელოს" 22-ე ნომერში გაუწყეთ, გასულ პარასკევს, თბილისში, ვაკის მძლეოსნურ მანეჟში, წარსულში ცნობილ სპორტსმენთა, მძლეოსანთა თაობებისა და სპორტის ამ სახეობაში კადრების აღმზრდელთა ხსოვნის ღია ტურნირი იგეგმებოდა. ტურნირი ჩატარდა, რომელსაც დიმიტრი იოსელიანის, შალვა კილაძის, ლევან გიორგაძის, აკაკი ხუციშვილისა და ვალერი ვაშაკიძის ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ. ამ ასპარეზობით საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორატმა, მისმა მძლეოსნობის კათედრამ ღირსეული პატივი მიაგო ამაგდარ ადამიანთა ხსოვნას. გათამაშდა პრიზები — დ. იოსელიანის ხსოვნისა სიგრძეზე ხტომაში, შ. კილაძისა — ბირთვში, ლ. გიორგაძისა — 60 მ-ზე, ა. ხუციშვილისა — 400 მ-ზე და ვ. ვაშაკიძისა — 800 მ-ზე რბენებში.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 60 მ:*** მარინა ჯააძე — 8,6; ***400 მ:*** ეკა მგელაძე — 1.14,3; ***800 მ:*** მარინა ეთიმოვა — 2.40,0; ***ბირთვი.*** მარიამ ქევხიშვილი — 13,16; ***ვაჟები. 60 მ:*** დავით ილარიანი — 6,9; ***400 მ:*** რომან მანუკიანი — 53,5; ***800 მ:*** დავით გილაშვილი — 2.12,0; ***სიგრძე*** — ილარიანი — 6,73; ***ბირთვი*** — ზურაბ გიგაია — 17.09.



# წიგნის თარო



ჟურნალისტმა გაბრიელ ბარჯაძემ კიდევ ერთი ნაშრომი უძღვნა ქართული სპორტის გულშემატკივრებს — გამოვიდა საცნობარო წიგნი „საქართველოს მოჭიდავეფალავნები", რომელშიც ფართოდაა წარმოდგენილი ჭიდაობის ყველა სახეობაში საქართველოს სახელოვანი ათლეტების მიღწევები 1934-2001 წლებში. აქვე გაეცნობით მათ აღმზრდელებს და იმ ქართველ მოჭიდავეებსაც, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობდნენ და ასპარეზობენ, აგრეთვე მსაჯებს, ქვეყნებსა და ქალაქებს, სადაც დიდი შეჯიბრებები გამართულა.

წიგნის რედაქტორები არიან ანზორ ბასილაია და ომზარ შოშიტაშვილი, მხატვარი — ვაჟა ქურხული. წიგნის გამოცემაში ავტორისთვის სპონსორობა გაუწევია სპორტის ოსტატს თავისუფალ ჭიდაობაში აკაკი ბორცვაძეს.

# სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მატერიალური შემწეობა ქართველ სპორტსმენებს და ვეტერანებს

## ოლიმპიურ ციკლში დამატებით კვებაზე აყვანილ წამყვან და პერსპექტიულ სპორტსმენთა სია

*„დამტკიცებულია" სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ. ბრძანება №50, 26 XII, 2001 წელი.*

ყოველთვიური თანხა (ლარებში) დაწესებულია 2001 წელს ნაჩვენები შედეგების მიხედვით:

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

| | | ლარი |
|---|---|---|
| 1. **მუხრან ვახტანგაძე** | მსოფლიო ჩემპიონი | 500 |
| 2. **ალექსი დოხტურიშვილი** | ევროპის ჩემპიონი | 300 |
| 3. **ირაკლი ჭოჭუა** | ევრ. ჩემპ. პრიზიორი | 200 |
| 4. **შმაგი გოქაძე** | საქართველოს ჩემპიონი | 100 |
| 5. **ხვიჩა ბიჩინაშვილი** | საქართველოს ჩემპიონი | 100 |
| 6. **გენადი ჩხაიძე** | საქართველოს ჩემპიონი | 100 |
| 7. **მირიან გიორგაძე** | საქართველოს ჩემპიონი | 100 |
| 8. **ტარიელ მელელაშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 9. **ბადრი ხასაია** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 10. **რამაზ დევაძე** | მსოფ. ჩემპ. ახალგ. შორის | 100 |
| 11. **რამაზ ნოზაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 12. **გიორგი ჯინჭველაშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 13. **აკაკი ჩაჩუა** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 14. **ლაშა ლომაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 15. **მანუჩარ კვირკველია** | ნაკრები გუნდის წევრი | 60 |
| 16. **ელიზბარ მაჭუტაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 60 |
| 17. **გენადი გოგიშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 60 |
| 18. **პაატა ბიწაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 60 |
| 19. **შალვა გადაბაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 60 |
| 20. **ომარ ბაკურაძე** | ევრ. ჩემპ. კადეტებში | 50 |
| 21. **ომარ ფევაძე** | ევრ. პრიზ. კადეტებში | 50 |
| | **სულ:** | **2500** |

### თავისუფალი ჭიდაობა

| | | |
|---|---|---|
| 1. **ელდარ კურტანიძე** | ევროპის ჩემპიონი | 400 |
| 2. **დავით პოღოსიანი** | მსოფ. ჩემპიონატის პრიზიორი | 350 |
| 3. **ალექსი მოდებაძე** | ევრ. ჩემპ. პრიზიორი | 300 |
| 4. **ოთარ თუშიშვილი** | ევრ. ჩემპ. III პრიზიორი | 250 |
| 5. **ემზარ ბედინეიშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 250 |
| 6. **რევაზ მინდორაშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 150 |
| 7. **ბესიკ გუჩაშვილი** | ახალ. მსოფ. ჩემპ. II პრიზ. | 100 |
| 8. **გოდერძი ხარებავა** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 9. **შალვა მუზიაშვილი** | მსოფ. ჩემპ. ახალგ. შორის | 100 |
| 10. **გურამ მჭედლიძე** | ნაკრ. გუნდის წევრი, საქ.ჩემ. | 100 |
| 11. **თამაზ გეგეშიძე** | ნაკრ. გუნდის წევრი, საქ.ჩემ. | 100 |
| 12. **დავით ოთიაშვილი** | საქართველოს ჩემპიონი | 100 |
| 13. **ამირან ელბაქიძე** | მსოფ. ჩემპ. ახალგ. შორის | 100 |
| 14. **ზვიად სისაური** | ევრ. ჩემპ. კადეტებს შორის | 100 |
| | **სულ:** | **2500** |

### ძიუდო

| | | |
|---|---|---|
| 1. **ზურაბ ზვიადაური** | მსოფ. ჩემპიონ. II პრიზიორი | 400 |
| 2. **დავით მარგოშვილი** | ევრ. ჩემპიონ. II პრიზიორი | 300 |
| 3. **ნესტორ ხერგიანი** | ევრ. ჩემპიონ. III პრიზიორი | 300 |
| 4. **ივერი ჯიქურაული** | ევრ. ჩემპიონ. III პრიზიორი | 250 |
| 5. **ალექსი დავითაშვილი** | ევრ. ჩემპიონ. III პრიზიორი | 200 |
| 6. **რამაზ ჩოჩიშვილი** | ევრ. ჩემპიონ. III პრიზიორი | 200 |
| 7. **გიორგი რევაზიშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 150 |
| 8. **ვახტანგ ხოსიტაშვილი** | მსოფ. უნივერს. II პრიზიორი | 100 |
| 9. **გრიგორ მამრიკიშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 10. **ზვიად ხანჯალიაშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 11. **დავით ბოდაველი** | ნაკრები გუნდის წევრი | 50 |
| 12. **დავით ქევხიშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 50 |
| 13. **მორის თადუმაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 50 |
| 14. **ლაშა ფეიქრიშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 50 |
| 15. **ჯარჯი ფოთოლაშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 50 |
| 16. **ლაშა გუჯეჯიანი** | ევრ.ოლიმპ. დღეების ჩემპიონი | 50 |
| 17. **მიხეილ ხომიზური** | ნაკრები გუნდის წევრი | 50 |
| 18. **გრიგორ შინჯიკაშვილი** | ევრ.ოლიმპ. დღეების ჩემპიონი | 50 |
| | **სულ:** | **2500** |

### მძლეოსნობა

| | | |
|---|---|---|
| 1. **ზურაბ გიგაია** | ევრ.ოლიმპ.დღეების III პრიზიორი | 100 |
| 2. **მარიამ ქევხიშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| | **სულ:** | **200** |

### კრივი

| | | |
|---|---|---|
| 1. **ვლადიმერ ჭანტურია** | ნაკრები გუნდის წევრი | 250 |
| 2. **ანატოლი ქავთარაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 150 |
| 3. **ავთანდილ კაშია** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 4. **რამაზ ბებნაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 5. **მალხაზ ბერკაცაშვილი** | ნაკრების გუნდის წევრი | 100 |
| | **სულ:** | **700** |

### ძალოსნობა

| | | |
|---|---|---|
| 1. **გიორგი ასანიძე** | მსოფლიო ჩემპიონი | 600 |
| 2. **ალეკო ნოზაძე** | ევრ. ჩემპიონ. III პრიზიორი | 150 |
| 3. **გიორგი კობალაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 4. **ზურაბ ავთანდილაშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 50 |
| 5. **დავით პავლიაშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 50 |
| 6. **ვალერი სარავა** | ნაკრები გუნდის წევრი | 50 |
| | **სულ:** | **1000** |

### ტანვარჯიშის სახეობები

ბატუტზე ხტომები

| | | |
|---|---|---|
| 1. **რუსუდან ხოფერია** | ნაკრები გუნდის წევრი | 150 |
| 2. **ზაქარია აბრამიშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |

სპორტული ტანვარჯიში

| | | |
|---|---|---|
| 3. **ილია გიორგაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 4. **ალექსანდრე თვაური** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |

მხატვრული ტანვარჯიში

| | | |
|---|---|---|
| 5. **ვანდა კერესელიძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 80 |
| 6. **ქეთი ბაკურაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 70 |
| | **სულ:** | **600** |

### სროლის სახეობები და მშვილდოსნობა

ტყვიის სროლა

| | | |
|---|---|---|
| 1. **ნინო სალუქვაძე** | ევრ. ჩემპიონატის პრიზიორი | 300 |
| 2. **ნინო უჩაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 90 |
| 3. **მამუკა ბოსტოღანაშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 50 |
| 4. **სერგი ჩიტაიშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 50 |
| 5. **თორნიკე ნიკოლაიშვილი** | ნაკრები გუნდის წევრი | 50 |

მშვილდოსნობა

| | | |
|---|---|---|
| 7. **ხათუნა ფუტკარაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| 8. **ასმათ დიასამიძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 90 |
| 9. **ირინა ლადიგინა** | ნაკრები გუნდის წევრი | 80 |

სასტენდო სროლა

| | | |
|---|---|---|
| 10. **მაია გუბიევა** | ნაკრები გუნდის წევრი | 90 |
| | **სულ:** | **900** |

### თანამედროვე ხუთჭიდი

| | | |
|---|---|---|
| 1. **დავით ჭულუხაძე** | ნაკრები გუნდის წევრი | 100 |
| | **სულ:** | **100** |
| **მთლიანად ყველა სახეობაში სულ თვეში:** | | **11000** |

## სოციალურად დაუცველ სპორტის ვეტერან მუშაკთა და ვეტერან სპორტსმენთა სია

(თითოეულს თვეში 90 ლარი)

*„დამტკიცებულია" სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის 2001 წლის 26 დეკემბრის № 49 ბრძანებით*

### ჭიდაობა

1. **დავით ციმაკურიძე** — ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი;
2. **მირიან ცალქალამანიძე** — ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი;
3. **ვახტანგ ბალავაძე** — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი;
4. **გიორგი სხირტლაძე** — ოლიმპიური თამაშების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი;
5. **ოთარ კანდელაკი** — მსოფლიოს თასის მფლობელი, სსრკ-ს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი;
6. **ომარ ეგაძე** — მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მფლობელი ბერძნულ/რომაულ ჭიდაობაში;
7. **შურა მაისურაძე** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში;
8. **მარლენ ოსიყმაშვილი** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში;
9. **მიხეილ თავართქილაძე** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბერძნულ/რომაულ ჭიდაობაში;
10. **ვანო ნიკოლაძე** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში;
11. **უშანგი ბარნაბიშვილი** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში;
12. **სერგო გაბარაევი** — ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში:

### ტანვარჯიშის სახეობები

13. **გალინა შარაბიძე** — ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ტანვარჯიშში. სპორტის დამსახურებული ოსტატი;
14. **მზია ჯუღელი** — ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში, სპორტის დამსახურებული ოსტატი;
15. **რაისა ზაალიშვილი** — ვეტერანი სპორტსმენი;
16. **ჯონი მარიდაშვილი** — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი აკრობატიკაში, პირველი ჯგუფის ინვალიდი (დაინვალიდდა შეჯიბრების დროს).

### ძალოსნობა

17. **რაფაელ ჩიმიშკიანი** — ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ძალოსნობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი;
18. **დიტო შანიძე** — ოლიმპიური თამაშების ორგზის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

### საწყლოსნო სპორტის სახეობები

19. **ტაისია მუნტიანი** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი წყალში ხტომაში, პენსიონერი, მარტოხელა.

### ჭადრაკი

20. **ბუხუტი გურგენიძე** — საერთაშორისო დიდოსტატი;
21. **ლილი წეროძე** — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ვეტერანი სპორტული მუშაკი, პენსიონერი, მარტოხელა.

### ხელბურთი

22. **გიორგი შარაშიძე** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ვეტერანი ხელბურთელი;
23. **ჯუმბერ ჩხარტიშვილი** — ვეტერანი-ხელბურთელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

### კრივი

24. **სერგო ბერძენიშვილი** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი;
25. **ოთარ ზებულაშვილი** — ვეტერანი-მოკრივე.

### ფრენბურთი

26. **სერგო ტარახჩიანი** — საქართველოსა და სსრკ-ს მრავალგზის ჩემპიონი, სსრკ-ს ნაკრები გუნდის წევრი.

### სროლა და მშვილდოსნობა

27. **რუბენ კაცობაშვილი** — მწვრთნელი მშვილდოსნობაში, ეროვნული კატეგორიის მსაჯი, წლების განმავლობაში ნაკრები გუნდის უფროსი;
28. **შოთა ქველიაშვილი** — მსოფლიო რეკორდსმენი ტყვიით სროლაში;
29. **გიორგი ბექთაშევი** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

### ძიუდო

30. **ბიძინა მაზიაშვილი** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი;
31. **გურამ პაპიტაშვილი** — ქ. გორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი;
32. **ამირან აბუაშვილი** — ინვალიდი სპორტსმენი, რომელმაც საქართველოს პირველობაზე მიიღო კისრის არეში სერიოზული ტრავმა.

### ფეხბურთი

33. **გაიოზ ჯეჯელავა** — სპორტის დამსახურებული ოსტატი;
34. **რევაზ მახარაძე** — სსრკ-ს მრავალგზის პრიზიორი, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი;
35. **მიხეილ პირაევი** — სსრკ-ს მრავალგზის პრიზიორი, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი;
36. **გივი ხოჭოლავა** — სსრკ-ს მრავალგზის პრიზიორი, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი;
37. **ვლადიმერ ელოშვილი** — ვეტერანი ფეხბურთელი.

### მძლეოსნობა

38. **ნადეჟდა დვალიშვილი** — ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი;
39. **რობერტ შავლაყაძე** — ოლიმპიური ჩემპიონი.

### სამბო

40. **ქრისტეფორე ნინიაშვილი** — სამბოსა და ძიუდოს ფუძემდებელი საქართველოში;
41. **აკაკი ნინიაშვილი** — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სამბოში.

### ნიჩბოსნობა

42. **ვიქტორ კრატასიუკი** — ოლიმპიური ჩემპიონი საბაიდარო ნიჩბოსნობაში.

### კალათბურთი

43. **ოთარ ქორქია** — ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი;
44. **ნოდარ ჯორჯიკია** — ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი;
45. **ლევან ინწკირველი** — სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, სსრკ-ს მრავალგზის ჩემპიონი;
46. **ზურაბ საკანდელიძე** — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ჩემპიონი.

### ქართული ჭიდაობა

47. **სიმონ მაისურაძე** — საქართველოს მრავალგზის ფალავანი.

### სპორტის ვეტერანი მუშაკები

48. **ივანე ბოჭორიძე** — ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი;
49. **ოთარ დიდებულიძე** — ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე;
50. **ავთანდილ კორინთელი** — ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე;
51. **გივი ნადირაშვილი** — სპორტის ვეტერანი მუშაკი, საქ. სპორტის დამსახურებული მუშაკი;
52. **გივი ჯიშიაშვილი** — სპორტის ვეტერანი მუშაკი, საქ. სპორტის დამსახურებული მუშაკი;
53. **ნუგზარ ებრალიძე** — სპორტის ვეტერანი მუშაკი, საქ. სპორტის დამსახურებული მუშაკი;
54. **ნინა არნაუტოვა** — სპორტის ვეტერანი მუშაკი;
55. **ვაჟა სიხარულიძე** — სპორტის ვეტერანი მუშაკი, საქ. სპორტის დამსახურებული მუშაკი.



## ხვალ ქართველი მორაგბეები ირლანდიელებს ეთამაშებიან

იტალიაში დასასრულს უახლოვდება იუნიორ მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც საქართველოს იუნიორთა ნაკრები მეცხრე ადგილისათვის აგრძელებს ბრძოლას.

მორიგ შეხვედრაში ქართველების მეტოქე რუსეთის ნაკრები იყო. მეზობლების შეხვედრა, ტრადიციულად, დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ერთ მომენტში ანგარიში რუსებსაც მიჰყავდათ, მაგრამ ქართველებმა ბოლომდე იბრძოლეს და გაიმარჯვეს — 15:6.

ახლა ჩვენი გუნდის მომდევნო მეტოქე ირლანდიის ნაკრებია, რომელმაც წინა ტურში რუმინეთის ნაკრებს სძლია — 25:7.

გაგაცნობთ სხვა მატჩების შედეგებს: ახალი ზელანდია — სამხრეთ აფრიკა 41:9, იტალია — ინგლისი 2:28, კორეა — ჩილე 35:31, არგენტინა — საფრანგეთი 6:20, უელსი — შოტლანდია 24:25, იაპონია — ურუგვაი 41:0.

30 მარტს ერთმანეთს ხვდებიან:

1-2 ადგილებისათვის: ახალი ზელანდია — საფრანგეთი
3-4 ადგილებისათვის: სამხრეთ აფრიკა — არგენტინა
5-6 ადგილებისათვის: ინგლისი — შოტლანდია
7-8 ადგილებისათვის: იტალია — უელსი
9-10 ადგილებისათვის: ირლანდია — საქართველო
11-12 ადგილებისათვის: რუმინეთი — რუსეთი
13-14 ადგილებისათვის: კორეა — იაპონია
15-16 ადგილებისათვის: ჩილე — ურუგვაი

თენგიზ ჯობანიძე

# აფრიკა სულ გაშავდა
## ჩივაძე ფრიადოსანი და სულ მოგებული

*(პირველი გვერდიდან)*

იღბლიანი დებიუტი გამოუვიდათ ამისულაშვილს და დარასელიას. მთავარი მწვრთნელის სეხნია კარგად შეეწყო გუნდს, იგი საკმაოდ აქტიურად და ეფექტურად თამაშობდა, მცირეოდენი დაბნეულობის შემდეგ პარტნიორებს გაუშინაურდა ვიტალიც და საგოლე პასიც მიითვალა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სამხრეთაფრიკელთა მთავარმა მწვრთნელმა სონომ აღარ დაფარა და განაცხადა – „მატჩის წინ კი ვიმუქრებოდით, მაგრამ დავმარცხდით ძლიერ გუნდთან პაექრობაში, იმას ხომ ვერ ვიტყოდი, რომ წავაგებდით, მაშინ მატჩის საცქერლად არავინ მოვიდოდა“. სტუმართა თავკაცი არ პირფერობდა, როდესაც მასპინძლებს აქებდა და თავისი გუნდის სისუსტეებზე ლაპარაკობდა. თამაშმა კარგად წარმოაჩინა ერთის უპირატესობა მეორისადმი. ქართველთა გამუდმებულ შეტევებს აფრიკელებმა უხეშობა დაუპირისპირეს, რითაც უპირველესად თავად იზარალეს. მასპინძელთაგან გამორჩეული დემეტრაძე იყო. თავისი ახლანდელი რკინიგზელი რუსი მწვრთნელის იური სიომინის თვალწინ იგი ჩინებულად გამოიყურებოდა. ოთხივე გოლში ლომის წილი დაიდო გიორგიმ. მე-14 წუთზე მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი კობიაშვილმა გოლად აქცია. 32-ე წუთზე ქეცბაიამ გაიბრწყინა, რამდენიმე მეტოქე დრიბლინგით ჩამოიცილა, კარს მიახლოებულმა ველარ დაარტყა, მაგრამ მისმა პასმა დემეტრაძე მოძებნა, რომელიც ბურთის მიღებისთანავე საჯარიმოში შეიჭრა და ეფექტური გოლიც გაიტანა. მეორე ტაიმი ჩვენმა გუნდმა შედარებით ინერტულად დაიწყო. ამ დროისათვის ორივე ნაკრებში ბევრი ცვლილება მოხდა, სამხრეთ აფრიკის ნაკრებს უხეშობისთვის ორი ფეხბურთელი გაუძევა უკრაინელმა მსაჯმა, მაგრამ ცხრა კაცით დარჩენილებმა ერთი გოლის გაქვითვა მაინც მოახერხეს. 66-ე წუთზე დერლონ ბაკლის 30-იოდე მეტრიდან ძლიერად და ზუსტად დარტყმულს გვარამაძემ, მცდელობის მიუხედავად, ვერაფერი მოუხერხა. მატჩის დარჩენილმა დრომ ისევ ჩვენების საგრძნობი უპირატესობით ჩაიარა, რისი ლოგიკური შედეგიც, სტუმართა კარში გატანილი ორი გოლი იყო. ჯერ რატი ალექსიძემ თავური დარტყმით დააგვირგვინა დემეტრაძისა და დარასელიას ჩინებული კომბინაცია, მერე კვლავ დემეტრაძემ გაიბრწყინა და 4-1. გოლების გარდა მატჩში სასეირო კიდევ ბევრი რამ იყო. იაშვილს, ჯამარაულს, დარასელიას, დემეტრაძეს არაერთხელ შეეძლოთ მეტოქის დამწუხრება, მაგრამ უზუსტობით და მეტოქის მეკარის კარგი თამაშის წყალობით მეტი გოლის გატანა ქართველებმა ვერ შეძლეს. განსაკუთრებით ფრაიბურგელ იაშვილს არ უმართლებდა, მის მიერ გამოუყენებელი ხელსაყრელი მომენტები, რამდენიმე მატჩს ეყოფოდა, ხოლო მთლიანობაში სახიფათო ეპიზოდების დაწვრილებითი ჩამოთვლა თუ აღწერა მელანსაც დააშრობდა. წლევანდელი სანაკრებო სეზონი მოგებით დავიწყეთ. მატჩის შემდგომ ***პრესკონფერენციაზე*** გამარჯვების მიუხედავად ქართველთა თავკაცი თავშეკავებული იყო.



*ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები*

